

შპს „ავაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

- 1) ზოგადი ინფორმაცია
- 2) განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (თანხები მოცემულია ლარებში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ავაზა“ რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. განცხადების რეგისტრაციის ნომერი: B11118212. შპს დაარსდა 2011 წლის 16 აგვისტოს. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო ქ. თბილისი ცინცაძის 33, ფაქტობრივი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაგზის 2. კომპანიის 100%-იანი მფლობელი და ამავე დროს დირექტორი არის საქართველოს მოქალაქე ბ-ნი იმედო მამულაშვილი პ/ნ 01019008493.

1.1 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

კომპანიის ძირითად საქმიანობას დღიდან დაარსებისა წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა ძვირფასი ლითონებითა და ლითონების მადნებით.

შპს „ავაზა“-ში დასაქმებულია 2 ადამიანი, 2024 წლის მდგომარეობით გაცემული ხელფასების რაოდენობა შეადგინა 82500 ლარს. კომპანიაში დატულია და ყურადღება ექცევა შრომის უსაფრთხოებას.

კომპანია ჩართულია გადასახადის გადამხდელთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი №404907179. საზოგადოება დღ-ს გადამხდელია 23.01.2012 წლიდან.

შპს „ავაზა“-ს არ ყავს შვილობილი კომპანია.

კომპანიის კლიენტების პორტფოლიო შედგება როგორც უცხოური კომპანიებისგან, ასევე ადგილობრივი იურიდიული პირებისაგან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს სტანდარტები) მიხედვით, რომელიც გამოცემულია ზუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ ("ზასს").

საწარმო იყენებს ზუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მოქმედ ანგარიშთა გეგმას.

კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

კომპანია საბუღალტრო აღრიცხვისათვის იყენებს საბუღალტრო პროგრამა „ორის“-ს 2012 წლიდან დღემდე.

3. საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს ორგანიზაციის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს ვალუტა მეტად გამოსადეგია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
1 დოლარი (\$)/ლარი (GEL)	2.8068	2.6894

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება კომპანიის მიერ შესაბამის საოპერაციო ვალუტაში (ლარი) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული საბალანსო ნაშთები საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის გადაიყვანება კომპანიის საოპერაციო ვალუტაში, ანგარიშგების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაყვანით ასახულია პერიოდის მოგება-ზარალში.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტს, რომლებსაც გააჩნია სხვადასხვა სარგებლობის ვადა, ისინი აღირიცხება ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებში. ხარჯები დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

კომპანიის ბალანსზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება: მანქანა-დანადგარები, ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი.

5. ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდის საშუალებით, თითოეულ აქტივზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში.

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც 15 წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

7. სხვა მოკლევადიანი აქტივები

კომპანიის სხვა მოკლევადიანი აქტივები წარმოეშვა გადახდილი დღგ-სგან მიღებული ჩათვლებისაგან. 2024 წლის განმავლობაში დაბრუნებული დღგ-ს თანხა შეადგენს 170498 ლარს. 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩათვლილი დღგ-ს ნაშთია 18785 ლარი.

8. საინვესტიციო ქონება

-კომპანიას არ გააჩნია მიწა და შენობა-ნაგებობა.

-კომპანიას არ გააჩნია იჯარა, რომელიც კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, რადგან იგი (ფინანსური იჯარა) ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

-კომპანიას არ გააჩნია ბიოლოგიური აქტივები.

-კომპანიას არ აქვს მიღებული პროცენტები და მიღებული დივიდენტები.

-კომპანიას არ აქვს გაცემული სესხები.

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შემენასთან და მის საბაზო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან. აქტივის გაუფასურების ზარალი მაშინ წარმოიშობა, როდესაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას.

კომპანიის კუთვნილი სასაქონლო მატერიალური მარაგები, ძირითადი საქმიანობიდან გამომდინარე

შედგება სხვადასხვა ძვირფასი ლითონის სინჯების და ძვირფასი ქვებისაგან.
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული სასაქონლო-მატერიალური მარაგების
ნაშთი შეადგენს 1199850 ლარის უმეტესი ნაწილი მოდის შემდგომი რეალიზაციისთვის
განკუთვნილ საქონელზე.

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები ეს არის მოკლევადიანი მოთხოვნები ორგანიზაციებთან, რომელიც
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 228400 ლარს.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ
ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ
ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად
ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო
სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

2024 წლის ოფიციალური გასვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ:

1 იანვრისთვის	2,6894
წლის ყველაზე დაბალი	2,6432
წლის ყველაზე მაღალი	2,8746
31 დეკემბრისათვის	2,8068

12. კაპიტალის მართვა.

კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, ფუნქციონირება, რათა
ბეჭილეებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს
კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის
სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი
დოვიდენდების ოდენობის კორექტირება, დაუბრუნოს კაპიტალი, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი ან
გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად. კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ
შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში. 2024 წლის განმავლობაში კომპანიის საწესდებო კაპიტალი
გაიზარდა 250963 ლარის ოდენობით.

13. ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება
და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები

ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასასადების გამოკლებით.

14. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

ანგარიშგებაში ასახული ფულადი სახსრები სრულად შედგება ნაღდი ფულის და საბანკო ანგარიშგებისაგან. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები თითქმის სრულად შედგება საბანკო ანგარიშგებზე რიცხული თანხებიდან.

15. სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში - ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხის პროცენტებმა შეადგინა 12417 ლარი.

16. მოგების გადასახადი.

ფინანსურ ანგარიშგებაში მოგების გადასახადი აისახა მოქმედი კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისათვის არსებითად ამოქმედებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯები შეიცავს მიმდინარე გადასახადსა და გადავადებულ გადასახადს, რომლის აღიარება ხდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალსა, ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში, რადგან უკავშირდება ისეთ გარიგებებს, რომლებიც ასევე აღიარდება იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, სხვა სრულ შემოსავალში ან უშუალოდ საკუთარ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის მიმდინარე და წინა პერიოდებისათვის საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ან დასაბრუნებელი მოგებიდან გადასახადის ან საგადასახადო ზარალის თანხა. მოგების გადასახადის გარდა, სხვა გადასახადები აისახება საოპერაციო დანახარჯებში.

2016 წლის მაისის თვეში საქართველოს პარლამენტმა შეცვალა ქვეყნის საგადასახადო კოდექსი, ხოლო ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადის გადამსდელების უმრავლესობას, მათ შორის კომპანიასაც, აღარ მოუწევს მოგების გადასახადის გადახდა წლიურ მოგებაზე. მხოლოდ დივიდენდების განაწილება და სპეციფიკური ტრანზაქციები ექვემდებარება დასაბეგრ ბაზაში შეტანას. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვა აღარ აწარმოებს და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი ან/და ვალდებულება წელიწადიდან აღარ არსებობს ის ფაქტორები, რომელიც გადავადებულ გადასახადს წარმოშობს.

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება

მიმდინარე წლის დასაბეგრობებს.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

ა) განაწილებული მოგება;

ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;

გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;

დ) სსკ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15%.

შპს „ავაზა“-ს დირექტორი:



მთ. ბუღალტერი:

ი. მამულაშვილი

ე. გიორგაძე

ფინანსური მდგომარეობა			
	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფინანსური მდგომარეობა			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	227950	19287	26331
საქვარო და სხვა მოთხოვნები	228400	0	162077
მარაგები	1199850	543954	970031
მზა პროდუქცია	1199850	358037	35804
სხვა	0	185917	934227
სხვა მოკლევადიანი აქტივები	18787	9308	18039
სხვა არამატერიალური აქტივები	189	237	796
ძირითადი საშუალებები	190	237	296
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8330	8330	8330
სულ აქტივები	1683696	581353	1185400
ვალდებულებები			
საქვარო ვალდებულებები	217	218	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	965859	0	604305
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	201066	374774
სხვა ვალდებულებები	4	162784	0
სულ ვალდებულებები	966080	364068	979079
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	468456	217493	7993
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი 'ხარალი')	249160	-208	198328
სულ საკუთარი კაპიტალი	717616	217285	206321
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1683696	581353	1185400
სულ მოკლევადიანი აქტივები	1674988	553260	1176478
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	966081	163002	604305



საქმიანობის შედეგები		
	31/12/2024	31/12/2023
საქმიანობის შედეგები	3544907	5355184
სეტო ამონაგები	3544907	5355184
საქონლის აკუმულირება	-3236663	-5179325
გაყიდვების თვითღირებულება	308744	175859
საერთო მოგება	-82500	-84750
დასაქმებულთა ანაზღაურება	-95	-118
ცვლითა / ამორტიზაციის ხარჯი	-12417	-79434
საპროცენტო ხარჯი	-6375	-5753
ოჯარის ხარჯი	-40248	-41321
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-141635	-211376
სულ საოპერაციო ხარჯები	166609	-35517
საოპერაციო მოგება		
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:	82551	-163019
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	249160	-198536
მოგება / ("ხარჯი") მოგების გადასახდის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	249160	-198536
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / "ხარჯი"		
სხვა სრული შემოსავალი / ("ხარჯი"):	249160	-198536
მთლიანი სრული შემოსავალი / ("ხარჯი")	217285	206321
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	251171	209500
ახალი ბიციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში "კაპიტალის გაზრდა", კომპერატივის შემთხვევაში "საპაიო კაპიტალის გაზრდა")	717616	217285
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		



[Handwritten signature]

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	3303575	5421378
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-3599472	-4877516
სხვა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-21179	-12793
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები	170498	164593
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის განადგებიდან	250963	209500
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	3250132	2016661
სესხის ძირის გადახდა	-3774441	-2789339
სესხის პროცენტის გადახდა	-12417	-76532
სხვა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	662601	0
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის	19287	26331
სავალუტო კურსის ეფექტი	-21597	-14318
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	227950	19287

